



ქვეყანაში კორონავირუსის კანდემიასთან დაკავშირებით უახლეს გეგმობაზე

ახლმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2) და მის მიერ გამოწვეულმა დაავადებამ (COVID-19) საქართველო, ისევე როგორც მრავალი ქვეყანა, უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. 14 ნოემბრის მდგომარეობით, კოვიდ-ინფიცირებულთა დღიური მაჩვენებელი 3500-ს გასცდა, 100,000 მოსახლეზე 14 დღის მაჩვენებელი კი – 944-ს; ბოლო 7 დღეში საქართველო მე-16 ადგილზეა მსოფლიოში – 100 ათას მოსახლესთან შეფარდებით გარდაცვლილთა საშუალო რაოდენობით.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, დღიური შემთხვევების რაოდენობა მზარდია, თუმცა, პროპორციულად არ იზრდება დღიურად ჩატარებული ტესტების რაოდენობა. ეს გვაფიქრებინებს, რომ COVID-19-ის კლინიკურად გამოვლენილი შემთხვევების გათვალისწინებით, რეალური რაოდენობა უფრო მეტია ქვეყანაში, ვიდრე ეს დადასტურებულია ლაბორატორიული კვლევით და ოფიციალურად აღირიცხება.

ცალსახაა, რომ დღეს სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ანტიეპიდემიური ღონისძიებები უკვე არასაკმარისია პანდემიის გავრცელების შესაკავებლად და იგი მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას დრამატულად რთული პერიოდი დაუდგება, რაც, შეუძლებელს გახდის არამართო კორონავირუსის ეპიდემიის მართვას, არამედ უკიდურესად შეზღუდვას სხვა გადაუდებელ და გეგმიურ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან არსებულ ჯანდაცვის პლატფორმაზე გაერთიანებული პროფესიონალები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია,

1. ყველანი შევთანხმდეთ შემდეგ პრინციპზე:

პანდემიაზე პასუხი უნდა გახდეს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი, როდესაც საზოგადოებრივი თანხმობის, თანადგომის და პასუხისმგებლობის გადანაწილების გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის კონსოლიდირებული და ეფექტიანი პასუხი.

2. დაუყოვნებლივ გადაიდგას შემდეგი საგანგებო ნაბიჯები:

ქვეყანაში ეპიდემიის საკანონო ღონისძიებების გართვის შექანის გაკლიერება;

- ეპიდემიის მართვისას პოლიტიკური ბრძოლის სიბრტყიდან საკითხი/მართვა გადავიდეს მე-პარტიული, ეროვნული ინტერესების დონეზე;
- შეიქმნას დროებითი ეროვნული მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, რაც საზოგადოების მხრიდან ნდობასა და მხარდაჭერას გააძლიერებს, ხელს შეუწყობს პროცესის გამჭ-

ვირვალობას, პოლარიზაციის ნაცვლად, გააერთიანებს ქვეყანაში არსებულ საუკეთესო რესურსს ეპიდემიის დაძლევის მიზნით;

- მკაფიოდ გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები, გამკაცრდეს სააღსრულებო დისციპლინა, რაც აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტროს როლისა და შესაძლებლობების გასაძლიერებლად და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაციისთვის.

საგეოლოგიო მომსახურების მიწოდების კოლფის თაველან ასახილვლად საგეოლოგიო სისტემისაღი მიგართვის მომსახურების (საჭირების) უმეცირება;

- პაციენტთა ქვევის ტექნიკური ალგორითმის შექმნა/განახლება;
- მოსახლეობისთვის ერთიანი სტანდარტის – გზამკვლევის შექმნა და გავრცელება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ვებ-გვერდით რეალურ დროში მონიტორინგის, ლაივ-კონსულტაციებისა და სხვა მექანიზმების ამოქმედება;
- მომსახურების სიმძლავრეების ოპტიმიზაცია;
- კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა ყველა დონეზე (ტრანსპორტირების, ლაბორატორიული მომსახურების, ჰოსპიტალური მომსახურების და სხვა);
- მომსახურების ანაზღაურების ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომელიც ამცირებს, მატერიალური გამორჩენის მიზნით, ნაკლებად მიზანშეწონილი (გამართლებული) მომსახურების მიწოდების ინტერესს (იქნება ეს ლაბორატორიული მომსახურება, თუ საწოლზე პაციენტის დაყოვნება);

საზოგადოების ინფორმირების / კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება

- ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და 24-საათიან რეჟიმში ყველა საჯარო გზავნილის მომზადება და გავრცელება გველის მიხედვით;
- საკომუნიკაციო მესიჯების თანმიმდევრულობა;
- გადაწყვეტილების გამჭვირვალობა, მიღწეული წარმატებისა და წარუმატებლობის გაზიარება.

მიმართვას ხელს აწერენ

დავით გვირიშვილი
გიორგი გოცაძე
ნინო ვგენიძე
აკაკი გომიძე
იანგორ კალანდაძე

ვასო კალოიანი
ნინო კიკნაძე
ლევან კობერიძე
ვანო სურგულაძე
ანდრია ურუშაძე

ნინო მირზიკაშვილი
სერგო ჩიხლაძე
ქეთი ჩხატარაშვილი
გივი წერეთელი
გურამ ჭიბერაშვილი



USAID
ამერიკელი ხალხისაგან



E P R C
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

მიმართვა მომზადებულია ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა (EPRC) და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ერთობლივი პლატფორმის ფარგლებში

